სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № ნას/02/08/16

ქ. თბილისი „ 02 “ აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს “საქაერონავიგაცია”** (შემდგომში, შემსყიდველი) წარმოდგენილი **გენერალური დირექტორის, გოჩა მეზვრიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „NEW PAPER”** (შემდგომში, მიმწოდებელი) წარმოდგენილი **დირექტორის კობა კობაიძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის” მე-3 მუხლის „ს[1]” პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის” შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პოლიეთილენის პარკების შესყიდვა (შემდგომში, საქონელი) ქვემოთ მითითებული ცხრილის შესაბამისად:

№	საქონლის დასახელება და აღწერილობა მოდელი	მწარმოებელი ქვეყანა	რ-ბა	განზ-ბა	ერთეულის ფასი ლარი	მთლიანი ფასი ლარი
1	პოლიეთილენის პარკი, თოკით, 60 ლიტრიანი	უკრაინა	500	ცალი	5,75	2875
2	პოლიეთილენის პარკი, თოკით, 35 ლიტრიანი	უკრაინა	500	ცალი	3,19	1595

1.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 19640000.

1.3 რესურსის მოთხოვნის განაცხადი: 298-16.

მუხლი 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4470 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს დაკავშირებულს ვალდებულებების სრულ შესრულებასთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (მათ შორის დღგ).

მუხლი 3. საქონლის მიწოდების წესი და ინსპექტირება

3.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს მიმდინარე წლის 31 ოქტომბრამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, 0198, შპს „საქაერონავიგაცია".

3.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი საქონლის მიწოდების მომენტში. ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებენ: დ. ტაბატაძე (ლოგისტიკის სამსახურის უფროსი, ტელ: 577 223345) და ჯ. ვაჭარაძე (შესყიდვების ექსპედიტორი, ტელ: 577 22 33 49), რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3. საქონლის მიწოდება დასტურდება და მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დასრულებულად ჩაითვლება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.4 შემსყიდველის სახელით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭებათ: 3.2 პუნქტში მითითებულ პირებს.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

4.1.1 უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.1.2 საკუთარი სახსრებით გამოასწოროს ყველა დეფექტი, აღმოჩენილი საქონლის მიწოდების დროს.

4.1.3 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.2 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

4.2.1 მოითხოვოს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.3 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

4.3.1 აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

4.4 <u>შემსყიდველი უფლებამოსილია:</u>

4.4.1 განახორციელოს კონტროლი საქონლის ხარისხზე საქონლის მიწოდებისას.

4.4.2 განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

მუხლი 5. საქონლის ხარისხი

5.1 მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს 1.1 პუნქტში მითითებულ მახასიათებლებს.

მუხლი 6. ანგარიშსწორების წესი

6.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება საქონლის მიწოდების შემდგომ. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შემსყიდველისათვის შემდეგი ორიგინალი დოკუმენტების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში: ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

6.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულებით დადგენილი საქონლის მიწოდების ვადის ვადაგადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

7.2 ხელშეკრულებით დადგენილი ანგარიშსწორების ვადების ვადაგადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

7.3 მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

10.2 ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.

10.4 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში.

10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწნებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: შპს "საქაერონავიგაცია"
მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0198,
ტელ: (+995 32) 2744 212
საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051
სს "ბანკი რესპუბლიკა",
ბანკის კოდი 220101757,
ა.ა. GE69BR0000000005467067

მიმწოდებელი: შპს „NEW PAPER"
მისამართი: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. 7, ბ. 33ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 404923721
საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE126BG0000000524548600

შემსყიდველი

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი
შპს „საქაერონავიგაცია"

მიმწოდებელი

კობა კობაიძე
დირექტორი
შპს „NEW PAPER"